

გრასის დეზინფორმაციის ბრიფი - 14 მაისი - 20 მაისი

- „ქართულმა ოცნებამ“ რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტი „უცხოური აგენტების შესახებ“ მესამე მოსმენით დაამტკიცა;
- „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა კომენტარები საქართველოს დასავლელი პარტნიორების ვიზიტებთან დაკავშირებით
 - შშ-ს სახელმწიფო მდივნის ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში თანამშრომლის, ჯეიმს ობრაიენის ვიზიტი
 - ერმანიის, ლიეტუვის, პოლონეთის, ჩეხეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეთა ვიზიტი
 - იეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრთა ვიზიტი
- „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური ნარატივები კვლავ „გლობალური ომის პარტიის“, „უკრაინიზაციისა“ და სხვა შეთქმულების თეორიებს ემყარებოდა;
- „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლების დისკრედიტაციის მიზნით, გრძელდება დეზინფორმაციული შინაარსის კამპანიები;
- პროკრემლისტურად განწყობილი პროპაგანდისტები ერთგულად უჭერენ მხარს კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“, კვლავ აჟღერებენ ანტიდასავლურ კონსპირაციებს.

„ქართულმა ოცნებამ“ რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტი „უცხოური აგენტების შესახებ“ მესამე მოსმენით დაამტკიცა

მას შემდეგ, რაც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი 67 წამში, დემონსტრაციებისა და სპეცრაზმის მიერ აღამიანების ძალადობრივი დაკავების ფონზე, [დაამტკიცა](#), მომდევნო დღეს კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო, საქართველოს მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ მისი დაგმობის მიუხედავად.

მაისის დამეს, მომიტინგეებმა დამე პარლამენტის შენობასთან გაათენეს, რათა დილას „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შეხვედროდნენ და პოზიციები გაეჭლერებინათ. პარლამენტის შენობის უკანა შესასვლელთან შეკრებილი აქციის მონაწილეები შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეცრაზმის მეშვეობით დაარბია. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები მითითებებს არ ეწინააღმდეგებოდნენ, მათ ნაწილს მაინც სასტიკად გაუსწორდნენ და დააპატიმრეს ([1](#), [2](#), [3](#), [4](#)). მათ შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების ორი მოქალაქე, რომლებსაც პროსახელისუფლებო პროპაგანდამ „აკერმანის ინსტრუქტორები“ უწოდა და დაადანაშაულა პროტესტის ძალადობრივ ფორმებში ახალგაზრდების დატრენინგებასა და ხელისუფლების გადაგდების გეგმებში მათ ჩათრევაში ([1](#), [2](#)). აღსანიშნავია, რომ სპეცრაზმი ოპოზიციონერ დეპუტატებს პარლამენტის შენობაში შესვლაში ხელს უშლიდა; როდესაც ისინი შენობაში დაუშვეს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა უკვე დასრულებული იყო.

აქციები გაგრძელდა მომდევნო დღესაც, როდესაც პარლამენტი განიხილავდა რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“. პლენარულ სხდომაზე, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა კრიტიკული განცხადებების გაჟღერების გამო ოპოზიციონერი დეპუტატები შეურაცხვეს როგორც ვერბალურად, ისე - ფიზიკურად ([1](#), [2](#), [3](#), [4](#)). მას შემდეგ, რაც

„ქართული ოცნების“ დეპუტატებმა კანონპროექტს მხარი დაუჭირეს, სპეცრაზმმა პარლამენტის შენობის გარშემო აქციის მონაწილეთა [დაშლა](#) დაიწყო. მაშინ, როდესაც დეპუტატები შენობას ტოვებდნენ, სპეცრაზმელებმა [დააკაკვეს](#) დავით ქაცარავა, ერთ-ერთი ცნობილი აქტივისტი. რამდენიმე საათში გაირკვა, რომ აქტივისტს სასტიკად [სცემეს](#), რის გამოც მას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. პრემიერ-მინისტრ კობახიძის [განცხადებით](#), ქაცარავა რუსულ ფილმებში მონაწილეობდა, თუმცა უცებ ანტირუსი გახდა. ის ამბობდა, რომ „კატეგორიულად მიუღებელია ასეთი ტიპის ინციდენტები“, თუმცა შემდეგ ქაცარავა პოლიციელების შეურაცხყოფაში დაადანაშაულა, მიუხედავად შესაბამისი მტკიცებულების არარსებობისა.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ კანონპროექტი სამ მოსმენაში დაამტკიცა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, შესაბამისი დისკუსიების შემდეგ გადახედონ და საკანონმდებლო ცვლილებები შეიტანონ კანონში. თუმცა 18 მაისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კანონპროექტს [ვეტო](#) დაადო და განმარტა: „ეს კანონი არის თავისი არსით, თავისი სულიკვეთებით რუსული კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას და ყველა ევროპულ სტანდარტს და წარმოადგენს შეფერხებას ევროპულ გზაზე“. მმართველ პარტიას 84 მანდატი აქვს, ხოლო ვეტოს დასაძლევად 76 ხმა სჭირდება. ამ ეტაპზე უცნობია, თუ როდის განიხილება პრეზიდენტის ვეტო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე და პლენარულ სხდომაზე.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა კომენტარები საქართველოს დასავლელი პარტნიორების ვიზიტებთან დაკავშირებით

შშ-ს სახელმწიფო მდივნის ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში თანამემწის, ჯეიმს ობრაიენის ვიზიტი

მაისს, როდესაც პარლამენტი რუსული სტილის კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“ განიხილავდა, ჯეიმს ობრაიენმა პრემიერ-მინისტრ [ირაკლი კობახიძესთან](#), პრეზიდენტ [სალომე ზურაბიშვილთან](#), [ოპოზიციასთან](#) და [არასამთავრობო ორგანიზაციებთან](#) შეხვედრები გამართა.

ობრაიენმა დღის ბოლოს პრეს-კონფერენცია გამართა, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე საკითხს [გაუხვდა ხაზი](#):

- აშშ აფასებს საქართველოსთან ურთიერთობას, თუმცა ზოგიერთმა ბოლოდროინდელმა სიტყვით გამოსვლამ და პარლამენტში განხორციელებულმა ქმედებებმა აშშ დააფიქრა, იზიარებს თუ არა საქართველოს მთავრობაც საერთო სტრატეგიულ ინტერესებს.
- მმართველი პრატია ირწმუნება, რომ მათი ინტერესი მხოლოდ გამჭვირვალობაა. **თუმცა არც პროცესი და არც წარმოდგენილი კანონი არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს და თუ კანონი ასეთი ფორმით იქნება მიღებული, ამას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.** პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ზემოაღნიშნულს იძულებას უწოდებს, თუმცა ვინაიდან საქართველო ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას ცდილობს, ამ ორგანიზაციებს გარკვეული სტანდარტები და წესები აქვთ. “ჩვენ

უბრალოდ გვსურს, რომ საქართველომ განაგრძოს ამ სტანდარტებთან შესაბამისობა და არა მათგან გადახვევა”, - აღნიშნა ობრაიენმა.

- ნათელია, რომ ქართველ ხალხს ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალი გზის გაგრძელება სურს, რის მხარდაჭერასაც აშშ კვლავ ისევე განაგრძობს, როგორც გასული
- კანონპროექტი ფართო საუბრის მცირე ნაწილია. **ვრცელი საუბარი „ქართული ოცნების“ ლიდერების კომენტარებს ეხება, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“ და დასავლეთის შეთქმულება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით.** „თითქოს Reddit-ის გვერდი გაცოცხლდა. ეს არის არარეალური, არასწორი და სრული გაუგებრობა საქართველოსთან საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთობის შესახებ“, - აღნიშნა სახელმწიფო მდივნის თანამემწემ.
- ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ობრაიენტან შეხვედრაზე, რადგან, მისი შეფასებით, უკვე არსებობს დე ფაქტო სანქციები. თუმცა ობრაიენმა განმარტა, რომ ივანიშვილზე არანაირი სანქცია არ დაწესებულა. ასევე, „შოკისმომგვრელი და გულდასაწყვეტია“ ის ფაქტი, რომ ასეთი გავლენიანი ადამიანი ასე არასწორადაა მისინფორმირებული. **ობრაიენმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ინტერესების კონსტიტუციურ ინტერესებზე მადლა დაყენება უწოდა.**
- ახლანდელი ვითარება შესაძლოა გახდეს გარდამტეხი მომენტი დღემდე არსებულ კონსტრუქციულ და ნაყოფიერ თანამშრომლობაში.
- **აშშ გადახედავს ფინანსური დახმარების გამოყოფის საკითხს,** თუ კანონი ამოქმედდება და აშშ არა პარტნიორად, არამედ მოწინააღმდეგედ შეირაცხება. ამასთანავე, **აშშ შეზღუდვებს დაუწესებს** იმ ადამიანებსა და მათ ოჯახებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებსა და კანონპროექტის მიღების პროცესში. „ეს იქნება ძალიან სწრაფად. როდესაც ჩვენ ვაწესებთ სანქციებს, ჩვენ ამას ვაკეთებთ მკაფიო მტკიცებულებებისა და ძლიერი სამართლებრივი არგუმენტის საფუძველზე. ეს არ არის ის, რაც ერთ ღამეში კეთდება“, - აღნიშნა ობრაიენმა.
- ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის შესაძლო დასანქცირების საკითხზე საუბრისას, ობრაიენმა განაცხადა, რომ **„აშშ ამ საკითხს ძალიან სერიოზულად შეხედავს“.**

პრეს-კონფერენცია გამართა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემაც, რომელიც კვლავ განაგრძობდა „გლობალური ომის პარტიის“ შეთქმულების მტკიცებას.

- „გლობალურ ომის პარტიაზე“ საუბრისას კობახიძემ განაცხადა, რომ მმართველ პარტიას არ შეუძლია ამ საკითხის ღიად განხილვა. „თუ თქვენ [მედიას] გიზიარებთ ინფორმაციის დაახლოებით 20%-ს, ბატონ ობრაიენს გაუზიარე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის დაახლოებით 30%“, - ამბობდა კობახიძე და განმარტავდა, რომ „გლობალურ ომის პარტიაზე“ საუბარი დახურულ შეხვედრაზეც კი რთულია, ვინაიდან **„საქმე ეხება ძალიან უხერხულ და საკმაოდ სახიფათო საკითხს; სახიფათო ხალხთან აქვთ საქმე „გლობალური ომის პარტიის“ სახით“.**

- კობახიძე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედ დე ფაქტო სანქციებსაც და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ობრაიენს მეტი დეტალი გააცნო. პრემიერ-მინისტრის თქმით, ივანიშვილის ანგარიშების „ძარცვა“ 2008 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო და **მისი საბანკო ანგარიშები უკრაინაში ომის დაწყებიდან ორ კვირაში გაიყინა, რადგან „მან ქვეყნისთვის დამაზიანებელი ნაბიჯები არ გადადგა“**. „ივანიშვილს აქვს სრული უფლება, რომ ჰქონდეს შესაბამისი აღქმა დე-ფაქტო სანქციასთან დაკავშირებით“, - ირწმუნებოდა პრემიერ-მინისტრი.
- კობახიძის განცხადებით, 2.5-საათიან შეხვედრაზე ფორმალური სანქციები არ უხსენებიათ.
- კობახიძემ კანონპროექტის მესამე მოსმენაზე მიღებისთვის საპარლამენტო უმრავლესობას მადლობა გადაუხადა და კვლავ **იცრუა, რომ კანონპროექტი უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს მხოლოდ ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციების წარმოდგენას ავალდებულებს**. მისი თქმით, შეუძლებელია, კანონპროექტს ეწინააღმდეგებოდნენ ადამიანები, რომლებმაც მისი ტექსტი წაიკითხეს და გაიაზრეს, რომ გამჭვირვალობა ერთ-ერთი უმთავრესი ევროპული ღირებულებაა. კობახიძემ პოლიციასაც მადლობა გადაუხადა „ძალადობასა და კანონდარღვევის ფაქტებზე რეაგირებისას ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებზე მაღალი სტანდარტების გამოვლენისთვის“. მან მადლიერება გამოხატა ქართველი ხალხის მიმართ, რომლებმაც მმართველ პარტიას საშუალება მისცეს, თავიდან აერიდებინათ ორი რევოლუციური მცდელობა, შეენარჩუნებინათ მშვიდობა და მიეღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი.
- კობახიძის განცხადებით, პრეზიდენტის ვეტო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კანონპროექტში ცვლილებების განსახორციელებლად და პარტნიორობის კონკრეტული მითითებების განსახილველად. მისი შეფასებით, კანონპროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი შენიშვნები არ გაჟღერებულა, თუმცა მმართველი პარტია მზადაა ნებისმიერი შენიშვნის განსახილველად.
- პროტესტზე კომენტარის გაკეთებისას კობახიძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის მიერ მხარდამჭერების დარწმუნება და აქციების გამართვა ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა **„პოლიტიკური უმცირესობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიძულებს პოლიტიკურ უმრავლესობას, რომ მიიღოს ან არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების განმტკიცებას“**. ის განაგრძობდა მტკიცებას, რომ „ქართული ოცნების“ აქციაზე ხუთჯერ მეტი ადამიანი მივიდა, ვიდრე კანონის წინააღმდეგ ორგანიზებულ გამოსვლებზე. „ეს არის ის თანაფარდობა, რაც არსებობს, მაგალითად, „ქართულ ოცნებასა“ და „კოლექტიურ ნაცემოდრობას“ შორის“, - ამბობდა პრემიერ-მინისტრი და წყაროს დაუსახელებლად ამტკიცებდა რომ **მოსახლეობის 60%-ზე მეტი კანონპროექტს, ხოლო 80%-ზე მეტი გამჭვირვალობას უჭერს მხარს**.

ჯეიმს ობრაიენის ვიზიტს „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსანი წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ.

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა [განაცხადა](#), რომ მმართველმა პარტიამ შეძლო ჯეიმს ობრაიენი დარწმუნებინა, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობა ეროვნული პრობლემაა. მმართველმა პარტიამ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის გამოყოფილი ამერიკული დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ კითხვებსაც. „აქაც სხვადასხვა აქტორთან გვაქვს თანხმობა, რომ ეს დაფინანსება ნამდვილად არის ნაწილობრივ გამჭვირვალე და ნამდვილად არის გარკვეული კითხვის ნიშნები ზოგიერთ პროექტთან დაკავშირებით“. **პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ ერთი წელი დახარჯა, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციები და საელჩოები დაერწმუნებინა, თავად უზრუნველყოთ გამჭვირვალობა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია.** აქედან გამომდინარე, მისი შეფასებით, პარლამენტის ვალდებულებაა, „ქართველი ხალხის სახელით მოაწესრიგოს ეს საკითხი“.
- ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში სტუმრობისას, თბილისის მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ **საქართველო არავის დაემონება**, რადგან ქართველი ხალხი ამაყი ერია, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს. მისი შეფასებით, როდესაც ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი კანონპროექტს იღებს, მმართველ პარტიას არ უნდა აშინებდნენ სანქციებით. თუ კანონპროექტი მცდარია, შესაბამისი კონკრეტული არგუმენტები უნდა გაჟღერდეს. **მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მმართველი პარტია ვერ იგებს, აშშ საქართველოს მოწინააღმდეგეა, თუ პარტნიორი; ასევე, საქართველოს ბატონი ვერ იქნება ვერც ამერიკა, ვერც რუსეთი და ვერც ევროპა.**
- „ძალიან ბევრს ლაპარაკობენ პერსონალურ სანქციებზე, რასთან დაკავშირებითაც კატეგორიულად მოვითხოვ, რომ თუ ასეთი მექანიზმი ამოქმედდება, სხვებს თავი დაანებონ და მე დამასანქცირონ“, - [აღნიშნულია](#) მამუკა მდინარაძის, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის Facebook პოსტში. მას სურს, ისტორიაში შევიდეს, როგორც პირველი კანონმდებელი, რომელიც ფინანსური დეკლარაციების შესახებ კანონის მიღების გამო დაასანქცირეს.

ერმანიის, ლიეტუვის, პოლონეთის, ჩეხეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეთა ვიზიტი

ჯეიმს ობრაიენის ვიზიტის პარალელურად, თბილისს გერმანიის, ლიეტუვის, პოლონეთის, ჩეხეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებიც ესტუმრნენ და შეხვედრები [პრეზიდენტთან](#), [ოპოზიციასთან](#) და არასამთავრობო [ორგანიზაციებთან](#) გამართეს. მიხაელ როთის, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, განცხადებით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შეხვედრაზე [უარი](#) განაცხადეს. ისინი მხოლოდ ნიკოლოზ სამხარაძემ, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მიიღო.

დელეგაციიდან, მიხაელ როთი (გერმანია) და ჟიგიმანტას პავილიონისი (ლიეტუვა) „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა თავდასხმების სამიზნეები გახდნენ. როთი და პავილიონისი რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტის „უცხოური აგენტების შესახებ“ წინააღმდეგობას განსაკუთრებით ღიად აფიქსირებენ და [ამბობენ](#), რომ კანონპროექტი დააზიანებს საქართველოს

მიხაეილ როთის წინააღმდეგ განხორციელებული ჰომოფობიური თავდასხმები უფრო ფართო ანტი-ლგბტკ+ დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილია, რომელიც სამოქალაქო სექტორისა და „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული აქციების მონაწილეთა წინააღმდეგაა მიმართული (1, 2, 3, 4, 5, 6).

მაისს გამართული შეხვედრების შემდეგ, ევროპელი პოლიტიკოსები პარლამენტის შენობასთან შეკრებილ ადამიანებს შეუერთდნენ და მომიტინგეებს მხარდამჭერი განცხადებებით მიმართეს.

- შალვა პაპუაშვილი ზემოაღნიშნულს [გამოეხმაურა](#) და მიტინგზე ევროპელი პოლიტიკოსების მონაწილეობას სამწუხარო ფაქტი უწოდა. ასევე, როთის განცხადება ქართულ ეკლესიაზე თავდასხმად მანაც შეაფასა. პაპუაშვილის თქმით, **როთის მსგავსი „ქარაფშუტა პოლიტიკოსები“ ევროპასთან არ უნდა გაიგივდნენ, ვინაიდან ისინი გერმანიის და საქართველოს 30-წლიან ურთიერთობას „წყალში ყრიან“**. ამასთანავე, პაპუაშვილის განცხადებით, როთმა სელფის გადაღების გამო საზოგადოება დაპირისპირებისა და არეულობისთვის გაწირა.
- პრემიერ-მინისტრი კობახიძის [განცხადებით](#), პარლამენტის შენობის წინ მოწყობილ სცენაზე გამოსულმა უცხოელმა პოლიტიკოსებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობა. კობახიძის შეფასებით, **„აბსოლუტურად მიუღებელი მოვლენაა, როდესაც გარედან ცდილობენ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევას „კოლექტიური ნაცმოდრაობის“ სასარგებლოდ“**.
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის [მტკიცებით](#), ზემოაღნიშნული ქმედება რომ სხვა პოლიტიკოსს განეხორციელებინა იმ ქვეყანაში, რომელსაც ის ადამიანი წარმოადგენს, ძალიან მძიმე პოლიტიკური რეაქცია მოჰყვებოდა და პოლიტიკურ სკანდალში იქნებოდა გახვეული. **„კეთილი ინებონ და პატივი სცენ ჩვენს საზოგადოებას, ეკლესიასა და რწმენას“**, - აღნიშნა ოხანაშვილმა.

იეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრთა ვიზიტი

მაისს საქართველოში ლიეტუვის [გაბრიელიუს ლანდსბერგისი], ლატვიის [ბაიბა ბრაზე], ესტონეთისა [მარგუს ცაჰკნა] და ისლანდიის [თორდის კოლბრუნ რ. გილფადოტირი] საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვიზიტი გამართეს. ვიზიტის ფარგლებში, ისინი შეხვდნენ [პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს](#), [პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს](#), საქართველოს [საგარეო საქმეთა მინისტრს](#), [პარლამენტის თავმჯდომარეს](#), [ოპოზიციასა](#) და [არასამთავრობო სექტორს](#).

შეხვედრის შემდგომ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა [განაცხადა](#), რომ საგარეო საქმეთა მინისტრები „ქართულ ოცნებას“ ეთანხმებიან, ვინაიდან გამჭვირვალობა, ნამდვილად, პრობლემური საკითხია. ამასთანავე, მათ მოიწონეს ის ფაქტიც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ევროპელ პარტნიორებს არ მოუსმინა, [რუსეთზე] სანქციები არ დააწესა და სააკაშვილი არ გაათავისუფლა. „ჩვენ აღმოვჩნდით მართალი და ისინი მტყუანი“, - აღნიშნა პაპუაშვილმა. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი ზემოაღნიშნულ განცხადებას მალევე გამოეხმაურა X-ზე გამოქვეყნებულ [პოსტში](#), რომლის თანახმადაც, მინისტრები არ ეთანხმებიან საქართველოს მიერ ევროპული რჩევებისა და ღირებულებების უგულებელყოფას და რომ ქართული მხარის პოზიციები მცდარია.

ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრები მტკიცედ [აფიქსირებდნენ](#) პოზიციას, რომ „აგენტების კანონში“ ცვლილებები ვერ შევა და ის უნდა გაიწვიონ, რადგან კანონპროექტი „შეაჩერებს საქართველოს პროგრესს ევროკავშირისა და ნატოსკენ სავალ გზაზე“. „თუ საქართველოს სურს ევროპულ გზაზე დარჩეს, ერთი ფენით მოსკოვში ვერ იქნები“, - [განაცხადა](#) ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ოფიციალური შეხვედრების დასასრულს, 15 მაისს აქციას ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრებიც [შეუერთდნენ](#) და მომიტინგეებს სიტყვით მიმართეს.

- პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძის [შეფასებით](#), **არასერიოზული და სამწუხაროა**, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლები მსგავს აქციებზე მიდიან, რადგან ეს ქართველი ხალხის თვალში არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ მთლიანად ევროკავშირის იმიჯზე აისახება.
- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა [განაცხადა](#), რომ დემოკრატიულად არჩეული მთავრობის საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე უცხოელი პოლიტიკოსების მონაწილეობა უპატივცემულობა და ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა - განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც აქცია „რადიკალური ოპოზიციისა და რადიკალური „ენჯელების“ სიმბიოზითაა“ ორგანიზებული. **„მიმართო აღელვებული ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებსაც რადიკალური ოპოზიციური პარტიები მთავრობის წინააღმდეგ მართავენ და უწოდო მათ „მთელი ერი“ ისეთი საქციელია, რომელსაც საბჭოთა ან რუსი პროპაგანდისტებისგან უფრო მოელი“**, - [განაცხადა](#) პაპუაშვილმა. მისი თქმით, მონაწილეობა პროტესტში, რომელიც ხშირად ძალადობრივია, და საქართველოს სუვერენიტეტისა და დიპლომატიური პრაქტიკის უგულვებლყოფა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სახელით, უკეთეს შემთხვევაში - ფარისევლობა, ხოლო უარეს შემთხვევაში ქვეყნის გადატრიალების მცდელობაა.
- თბილისის მერი და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე [ირწმუნებოდა](#), რომ უცხოელი პოლიტიკოსები საქართველოში პოლარიზაციას აღვივებენ. ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა მიერ აქციებზე მისვლა საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას ადასტურებს. **„ყველა განვითარებული ქვეყანა მოიქცეოდა ისე, რომ ხელს მოკიდებდა ამ საგარეო საქმეთა მინისტრებს და პანდურებით ქვეყნიდან გაყრიდა“**, - განაცხადა მან. კალაძის თქმით, ზემოაღნიშნულ პოლიტიკოსთა ქმედებებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გარედან, უცხოელი აქტორების მიერ, იმართება, რომლებიც მიზნად ისახავენ, გადააგდონ ხელისუფლება, მოაწყონ რევოლუცია, საქართველო პირადი ინტერესებისთვის გამოიყენონ და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოშიც გაიმეორონ. თუმცა კალაძე ირწმუნებოდა, რომ მმართველი პარტია ამას არასოდეს დაუშვებს.
- „ქართული ოცნების“ რადიკალურმა, ანტიდასავლურმა ფრთამ, „ხალხის ძალამ“ გამოაქვეყნა [განცხადება](#), რომელშიც ამტკიცებს, რომ საქართველოში ჩამოსული საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა საქართველოს, ქართველი ხალხისა და ქვეყნის სუვერენიტეტის დამცირების მცდელობა იყო. მინისტრები საქართველოს „მეგობრის“ სტატუსით ეწვივნენ, საპროტესტო აქციისთვის განკუთვნილი სცენა დაიკავეს და **შეკრებილ ადამიანებს**

პირდაპირ რევოლუციისკენ მოუწოდეს. მოძრაობის შეფასებით, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგუს ცაჰუნა „განსაკუთრებული სითავზებით“ გამოირჩეოდა, როდესაც ხალხს მიუთითა, რომ „თავისუფლება არ მოიპოვება ფასის გადახდის გარეშე“. განცხადების თანახმად, **საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის სამიშროება არსად გამქრალა**, და „გლობალური ომის პარტიის“ სურვილი, რომ საქართველო რუსეთის დასუსტების მიზანს შესწირონ, კვლავ აქტუალურია. „გლობალური ომის პარტია“ საქართველოში „მაიდანიზაციის“ პროცესის ხელახლა წამოწყებას ცდილობს მსგავსად გასული წლებისა, მათ შორის 2020 წელს ოპოზიციის მეშვეობით (ოპოზიციამ არჩევნების შემდეგ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა), 2021 წელს (ჟურნალისტების პროტესტი, როდესაც 5 ივლისს, „ალტ-ინფოს“ მიერ მართული ჰომოფობიური ჯგუფები ჟურნალისტებს თავს დაესხნენ, ხოლო ერთ-ერთი ოპერატორი სასტიკად ცემის შემდეგ გარდაიცვალა) და 2022 წელს (სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა გამართეს საპროტესტო აქციები, რომელთა ფარგლებშიც ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, ყველა ზომა მიეღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მისაღებად). „ამჟამად, 2024 წელს უკვე დონორები გამოვიდნენ ასპარეზზე და დღეს თვალს ვადევნებთ მათ მცდელობას, მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება“, - აღნიშნულია განცხადებაში. დასკვნის სახით, მოძრაობა ირწმუნება, რომ **საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვა ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოს „მაიდანიზაციას“ ცდილობენ, „გლობალური ომის პარტიის“ უმნიშვნელო ჰაიკები არიან**, რომლებიც ყოველთვის იმას გააკეთებენ, რასაც დაავალებენ.

„ქართული ოცნების“ ანტიდასავლური ნარატივები კვლავ „გლობალური ომის პარტიის“, „უკრაინიზაციისა“ და სხვა შეთქმულების თეორიებს ემყარებოდა

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა მარიამ ლაშხმა, ბრიტანულ პოდასტ The News Agents-ზე ლუის გუდალთან საუბრისას, **„გლობალური ომის პარტია“ თავისუფალ მასონებს შეადარა**, რომელთაც „მსოფლიო პოლიტიკაზე და ყველაფერზე გავლენა აქვთ“. მიუხედავად ამისა, მან აღნიშნული მტკიცება მსგავსი დაჯგუფებების კონკრეტული სახელებით არ დაამოწმა. „დღეს მე თვითონ საგარეო ურთიერთობებში ვარ ჩართული და როცა პარტნიორებთან მაქვს საქმე, ამბობენ, რომ კარგია და კარგად მიდიხართ, მაგრამ არის კიდევ დამატებით მეორე ხმა“, - განაცხადა მარიამ ლაშხმა.
- საზოგადოებამ მარიამ ლაშხის განცხადებას კრიტიკით უპასუხა, რასაც შალვა პაპუაშვილმა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოებული, **„უცხოეთიდან დაფინანსებული ფაშისტური კამპანია“ უწოდა**. „ველოცავ „ენჯელების“ დამფინანსებლებს, რომ ისინი ფაშისტური კამპანიის პირადი თუ ირიბი თანამონაწილეები ხდებიან“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.
- პროსახელისუფლებო მედიასაშუალებებმა **გაავრცელეს** ცნობილი მსახიობისა და საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილის, ნანკა კალატოზიშვილის, ვიდეო, რომელშიც ის ამბობს, რომ მას შურს უკრაინის, რადგან უკრაინელებმა პრორუსი ხელისუფლების შეცვლა შეძლეს. პროპაგანდისტული წყაროების მიერ გავრცელებული ინტერვიუ ქმნის წარმოდგენას, თითქოს, მსახიობი უკრაინელების დღევანდელ მდგომარეობას შენატრის და სურს, საქართველოც მსგავს ვითარებაში იხილოს.

აღსანიშნავია, რომ მსახიობმა ინტერვიუ 2023 წელს ჩაწერა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენას აპროტესტებდა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), ვიდეო ადასტურებს, რომ **მთავარი დავალება, რომელიც დემონსტრანტებს ამოძრავებთ, საქართველოს „უკრაინიზაცია“**. „ამას ვერ მიაღწიეს 2022 წელს, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე არ დაუკარგავთ ამის იმედი“, - აღნიშნა კობახიძემ.

- შალვა პაპუაშვილის [შეფასებით](#), სიმართლე ისაა, რომ ქვეყნები, მტერი იქნება, თუ - მოყვარე, ცდილობენ, ქართველ ხალხზე გავლენა მოახდინონ, ხოლო უცხოური გავლენისთვის შემოსული დაფინანსება, მათ შორის ევროპული და ამერიკული, გაუმჭვირვალეა. „ევროპული ფული იხარჯება ისეთ აქტივობებზე, რომელშიც კეთილსინდისიერი დონორი არ უნდა ხარჯავდეს“, - ირწმუნებოდა პაპუაშვილი. ამასთანავე, სავარაუდო სანქციებზე საუბრისას, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ **შანტაჟი, მუქარა და სანქციები** ვერ იმოქმედებს, რადგან საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის მანდატით ხელმძღვანელობს. განსხვავებულ განცხადებაში პაპუაშვილი [ამტკიცებდა](#), რომ ოპოზიციას საკუთარი ნება არ გააჩნია, ვინაიდან ისინი უცხოური ძალებით იმართებიან.
- საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ერთობლივ [განცხადებაში](#) გამოხატეს „ღრმა შეშფოთება საქართველოს მთავრობისა და მმართველი პარტიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გადაუხვიონ ევროპული გზიდან“. აღნიშნულ განცხადებაზე საპასუხოდ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ Facebook-ზე გამოაქვეყნა [პოსტი](#), რომლის თანახმადაც მაკრონი და შოლცი მმართველ პარტიას გამჭვირვალეობის კანონის გამო აკრიტიკებს, როდესაც ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი უცხოურ ჩარევებს საარჩევნო კამპანიის მთავარ საკითხად წარმოაჩენს. **„რაც ევროპისთვის მთავარი გამოწვევაა დღეს, მისი პრევენცია რატომ არის ჩვენთან არაევროპული?“** - წერს მამუკა მდინარაძე.
- კახა კალაძის [განცხადებით](#), ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით გადაწყდება, ხოლო შიდა და გარე ძალებმა საქართველოს მოსახლეობას პირდაპირ აუკრძალეს ჰქონოდათ ინფორმაცია, ვინ არის ქვეყნის მოყვარე და ვინ - მტერი. ამასთანავე, მისი შეფასებით, საზოგადოებას აუკრძალეს, გასცნობოდა კანონპროექტს და თავად ემსჯელა მის აკვარგიანობაზე. განსხვავებულ [განცხადებაში](#), კალაძე ამბობდა, რომ საქართველოს ინტერესებს უცხოელები ვერ გაატარებენ და ვერავინ შეძლებს, რევოლუცია მოაწყოს. მისი [განცხადებით](#), **პარტნიორობა არ არის, როდესაც გარკვეული ქვეყნები ერთმხრივ კარგ პროექტებს აფინანსებს, თუმცა ამავდროულად „შავი ფულით“ რევოლუციების მოწყობასაც უჭერს მხარს.**

„რუსული კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლების დისკრედიტაციის მიზნით, გრძელდება დეზინფორმაციული შინაარსის კამპანიები

- „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლების მონაწილეებისა და ოპოზიციონერი დეპუტატების დისკრედიტაციის მიზნით, სოციალურ მედიაში გავრცელდა არაერთი დეზინფორმაციული კამპანია. რუსეთის თავდაცვის

სამინისტროს საინფორმაციო არხს ჰქონდა უფლება, ადგილიდანვე გაეშუქებინა საპროტესტო აქციები. რუსმა პროპაგანდისტებმა გაავრცელეს [დეზინფორმაცია](#), თითქოს დემონსტრანტებმა პარლამენტის შენობის კედლებზე სტეპან ბანდერას პოსტერები გააკრეს. რეალურად, პოსტერებზე ქართველი პოეტი ტიცვიან ტაბიძე იყო გამოსახული, რომელიც 1937 წელს, საბჭოთა რეპრესიების დროს, საფრანგეთის აგენტობის ბრალდებით დახვრიტეს.

- პროსახელისუფლებო ანონიმურმა გვერდებმა და პროპაგანდისტებმა გაავრცელეს კონტექსტიდან ამოვარდნილი ვიდეო, თითქოს საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე ამბობდა, რომ მას ევროპა არ სურს. [რეალურად](#), პროპაგანდისტულმა წყაროებმა მიზანმიმართულად ამოჭრეს სრული სიუჟეტი, რათა დემონსტრანტი წარმოეჩინათ, როგორც უინტელექტო ადამიანი, რომელიც მიმდინარე ვითარებაში არცაა გარკვეული.
- ანონიმურმა პროსახელისუფლებო გვერდმა რედაქტირებული სურათი [გამოაქვეყნა](#) აქტივისტები თემის უფლებების დაცვას მოითხოვდნენ). ანონიმურმა ანგარიშმა სურათზე გამოსახული ბანერი ვულგარული წარწერით შეცვალა და ფოტოს აირჩინა დაცვა, თითქოს, აღნიშნული სურათი მიმდინარე აქციებზე გადაიღეს.
- საპროტესტო აქციების ერთ-ერთი სიმბოლო გახდა სიმღერა და ჟესტი ფილმიდან „შიმშილის თამაშები“. ტიკტოკზე გავრცელებულ ვიდეოში ასახული იყო, თუ როგორ აჩვენებდნენ საპროტესტო აქციების მონაწილეები აღნიშნულ ჟესტს პროტესტის ნიშნად. [თუმცა](#) პროპაგანდისტებმა ეს ჟესტი ნაცისტურ მისალმებასთან გააიგივეს, ახალგაზრდა დემონსტრანტებთან დისკრედიტაციის მიზნით.
- პროსახელისუფლებო პროპაგანდისტმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ასახული იყო, თუ როგორ ისვამდა ტურქსაცხს ოპოზიციონერი დეპუტატი სალომე სამადაშვილი, თითქოს მან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნული მიზეზის გამო დააგვიანა. [რეალურად](#), ვიდეო გადაღებული იყო სხვა დროს, სხვა ადგილმდებარეობაზე.
- ოპოზიციონერმა დეპუტატმა პლენარულ სხდომაზე გაკეთებულ მიმართვაში ისაუბრა სტუდენტებზე, რომლებიც საპროტესტო აქციებს ესწრებიან. [პროპაგანდისტების](#) მიერ გავრცელებულ ვიდეოში პოლიტიკოსის საუბრის გარკვეულ მონაკვეთებზე თანდართულია ცენზურის აღმნიშვნელი ნიშანი და ხმა, რომელიც მის სიტყვებს ფარავს.
- სოციალურ მედიაში გავრცელდა თამარ ჩარკვიანის ვიდეო, თითქოს ოპოზიციონერ დეპუტატს სურს, რომ საქართველოში „ფერადი რევოლუცია“ მოხდეს. [რეალურად](#), პოლიტიკოსი მმართველ პარტიას მიმართავდა და ურჩევდა, რომ კანონი გაეწვია, რადგან შესაძლოა, ეს უკანასკნელი რევოლუციით დასრულებულიყო.

პროკრემლისტურად განწყობილი პროპაგანდისტები ერთგულად უჭერენ მხარს კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“, კვლავ აჟღერებენ ანტიდასავლურ კონსპირაციებს

- პრორუსული „ტელეკომპანია სუზონის“ წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ, მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში, ერთ-ერთი გადაცემა დაუთმო მტკიცებას, რომ საქართველოსთვის გადარჩენის ერთადერთი საშუალება რუსეთთან ახლო კავშირების დამყარებაა. ის, ამასთანავე, მხარს უჭერდა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას, მიეღო რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტი „უცხოეთის აგენტების“ შესახებ. ის ირწმუნებოდა, რომ დამოუკიდებელი სატელევიზიო მაუწყებლები, რომლებიც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად არიან განწყობილნი, საქართველოს მტრები არიან, ვინაიდან ისინი ქართველ ხალხს ხელისუფლების გადაგდებისკენ მოუწოდებენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი დახურვა.
- ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის გავლენისგან გათავისუფლების პროცესშია. მან განაცხადა, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ჯეიმს ობრაიენის ვიზიტი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ „ხალხისთვის ხელისუფლების გადაგდებისკენ მოწოდებები“ ადასტურებს, რომ დასავლეთი განიზრახავს, საქართველოში გავლენა შეინარჩუნოს. მან გაიმეორა შეთქმულების თეორიაც, რომ შესაძლოა, ამერიკელებმა ლუგარის ლაბორატორია ქართველი ხალხის წინააღმდეგ ან სისხლისღვრის პროვოცირებისთვის გამოიყენონ, რათა საქართველოზე კონტროლი შეინარჩუნონ.
- ის, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ საქართველოს ორი გზა აქვს - გზა სოლომიისკენ და გზა რუსეთის მიერ დაცული მართლმადიდებლობისკენ. რუსეთმა უარი უთხრა გარყვნილებას, მიიღო შესაბამისი კანონპროექტები, შექმნა სტაბილური და განვითარებადი ეკონომიკა და მოქმედებს, როგორც ფარი მართლმადიდებელი ქრისტიანობის დასაცავად. აქედან გამომდინარე, საქართველო რუსეთს უნდა დაუახლოვდეს.
- თბილისის მერის, კახა კალაძის მსგავსად, ერთ-ერთი პროპაგანდისტი „ტელეკომპანია სუზონის“ ეთერში ამტკიცებდა, რომ ქვეყანა, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, გააძევებდა იმ საგარეო საქმეთა მინისტრებსა და საელჩოებს, რომლებიც „უცხოეთის აგენტების“ კანონპროექტის წინააღმდეგ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე მივიდნენ. მან გაიმეორა მმართველი პარტიის ნარატივიც, რომლის თანახმადაც, აშშ და ევროკავშირი თავს საქართველოს პარტნიორებად წარმოაჩენენ, თუმცა ამავდროულად აფინანსებენ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრიან. ამასთანავე, პროპაგანდისტის თქმით, „რაც მისაღებია საფრანგეთისთვის, კანადისთვის, ავსტრალიისთვის, აშშ-სა და რუსეთისთვის, რატომღაც მიუღებელია საქართველოსთვის.“
- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წამყვანის შეფასებით, დასავლეთს სურს, რომ საქართველო მისი ვასალი გახდეს, ხოლო კანონპროექტი „უცხოეთის აგენტების“ შესახებ საქართველოს უქმნის შესაძლებლობას, ადიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთთან მოლაპარაკებების ფარგლებში.

- „ალტ-ინფოს“ გადაცემის მორიგი წამყვანი ირწმუნებოდა, რომ **დასავლეთი აქტიურად ცდილობს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას, თუმცა ერთადერთი დაბრკოლება „ქართული ოცნებაა“**. დასავლეთი მმართველი პარტიისთვის ძირის გამოსათხრელად „შავ ფულს“ იყენებს, მაგრამ ვინაიდან ზემოაღნიშნული კანონპროექტი ამ დაფინანსებასა და დასავლეთის მიზნებს გამოააშკარავებს, მას მტკიცედ ეწინააღმდეგებიან.
- „ალტ-ინფოს“ ეთერის სტუმარმა განაცხადა, რომ **დასავლეთს საქართველოში ქაოსის გაღვივება სურს**, ვინაიდან ეს თბილისზე დასავლეთის ინტერესებით ზეწოლას უფრო გაამარტივებს, მათ შორის **რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნის იძულებასაც**. მისი შეფასებით, საქართველოში 20,000 ორგანიზაციისგან შემდგარი აგენტურა ოპერირებს.
- „ალტ-ინფოს“ მორიგი ეთერის სტუმრის თქმით, ქართული იდენტობის საფუძველი მართლმადიდებელი ქრისტიანობაა. მისი შეფასებით, **მიხაელ როთმა, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, და სხვა ევროპელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც საქართველოს ესტუმრნენ, სწორედ ეს იდენტობა შეურაცხვეს**.
- „ალტ-ინფოს“ მორიგმა სტუმარმა განაცხადა, რომ ქართული რწმენა დაბრკოლებაა **დასავლეთისთვის, რომელიც საქართველოში ამორალურობასა და სიბინძურის შემოტანას ცდილობს**, რათა ქართველი ერი მარტივად სამართავ მასად აქციოს.
- პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტის ვალერი კვარაცხელიას („სოციალისტური საქართველოს“ ლიდერი, პრორუსული „ტელეკომპანია ობიექტივის“ წამყვანი და ყოფილი დეპუტატი 1990-იან წლებში) მიერ ვებსაიტ GeWorld-ზე გამოქვეყნებულ სტატიამი, ის ამტკიცებდა, რომ კანონპროექტი „გამჭვირვალობის შესახებ“ დააწესებს კონტროლს დასავლეთის დაფინანსებაზე, რომელიც გამოიყენება **„ქართულ ეკლესიასთან საბრძოლველად, ლგბტქი+ პროპაგანდის გასავრცელებლად, ქართველთა სულებში სატანის ჩასასახლებლად, რუსეთის მტრად წარმოსაჩენად და ხალხისთვის სიცრუის დასაჯერებლად“**.
- იმავე სტატიამი, კვარაცხელია წერდა, რომ გერმანელმა დეპუტატმა (მიხაელ როთმა) **დასავლეთის ნამდვილი სახე აჩვენა. მბრწყინავ ფასადს მიღმა, საქართველომ იხილა სიმახინჯის, უზნეობისა და უგუნურების ნაზავი, რომელიც სასიკვდილო აგონიაშია**. მისი შეფასებით, ქართველი ხალხის თვალში დასავლეთმა მთლიანად დაკარგა ავტორიტეტი, ღირსება, პატივისცემა და ნდობა.
- არნო ხიდირბეგიშვილი, მორიგი პრორუსული ვებსაიტის Saqinform მთავარი რედაქტორი, წერდა, რომ ევროკავშირი და ნატო საქართველოს წევრ ქვეყნად „რუსული კანონის“ გარეშე არ მიიღებდა, თუმცა „აშშ, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი საქართველოს ნებაყოფლობით არასოდეს დატოვებენ, რადგან ვინც ფლობს საქართველოს, რომელზეც გადის ყველა მაგისტრალი და მილსადენი, ის დომინირებს სამხრეთ კავკასიაში“. **„უცხოეთის აგენტების რევოლუციაც“, „მაიდანიაციის“ ანტირუსული სცენარით, სწორედ ამიტომ გრძელდება უკვე ერთი თვეა,**